



*დამტკიცებულია ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის  
მართვის კომიტეტის მიერ კომიტეტის მე-4 სხდომაზე (31.05.2019)*

## ფინანსური წიგნიერების ძირითადი კომპეტენციების ჩარჩო

---



## სარჩევი

1. ფული და გადახდები .....	1
1.1 ფული და ვალუტა .....	1
1.2 გადახდები და ფასები .....	2
1.2 ფინანსური დოკუმენტები და ხელშეკრულებები.....	3
2. ფინანსების მართვა და დაზოგვა .....	4
2.1 ბიუჯეტირება .....	4
2.2 დანაზოგები და ინვესტიციები .....	5
2.3 სესხება და სესხის მართვა .....	7
3. რისკი და სარგებელი .....	8
3.1 ფინანსური რისკები.....	8
3.2 დაზღვევის საკითხები .....	9
4.. ფინანსური გარემო .....	10
4.1 მომხმარებლების უფლებები და მათი დაცვა .....	10
4.2 ინფორმაციის მიღებისა და შედარების არხები.....	11
4.3 თაღლითობისა და ფინანსური დანაშაულის პრევენცია .....	12
4.4 გადასახადები და სახელმწიფო .....	13



## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს იმ ძირითადი კომპეტენციების ჩამონათვალს, რომლებიც სასურველია ფინანსურად წიგნიერ ზრდასრულ ადამიანს გააჩნდეს, რათა მან შეძლოს ფინანსურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში უსაფრთხოდ, პასუხისმგებლობითა და თავდაჯერებულობით ჩართვა და საკუთარი ფინანსური კეთილდღეობის შენარჩუნება / გაუმჯობესება.

ზემოაღნიშნული კომპეტენციები დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ფინანსური განათლების პროგრამების შინაარსის შემუშავების პროცესში.

ფინანსური წიგნიერების კომპეტენციები 4 ძირითად თემატურ მიმართულებად არის დაყოფილი:


1. ფული და გადახდები
2. ფინანსების მართვა და დაზოგვა
3. რისკი და სარგებელი
4. ფინანსური გარემო

თითოეული მიმართულება, თავის მხრივ, არაერთ რელევანტურ საკითხს აერთიანებს, რომლებიც განხილულია როგორც ცოდნის, ისე ქცევა/უნარებისა და დამოკიდებულებების კრილში.

წინამდებარე დოკუმენტი განვითარებულია საერთაშორისო სტანდარტებისა (მათ შორის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის „ფინანსური განათლების ქსელის“ (OECD/INDE) შესაბამისი სტანდარტების) და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, ასევე, ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.



დიაგრამა 1. კომპეტენციების 4 ძირითადი მიმართულება





# 1. ფული და გადახდები

## 1.1 ფული და ვალუტა

ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
<b>საბაზისო პრინციპები</b>		
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის, რომ ფული მრავალი სახის შეიძლება იყოს, მათ შორის ელექტრონულიც.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ფულის რომელი ფორმაა მისთვის მისაღები ანა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს, რომ ფინანსურ კეთილდღეობაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ფულადი, არამედ სხვა, არაფულადი ფაქტორებიც, როგორცაა ოჯახი და ჯანსაღი სოციალური ურთიერთობები, და ა.შ.</li> <li>• იაზრებს, რომ ფულის გაყალბება დანაშაულია, და მისი პასუხისმგებლობაა დროული რეაგირება მოახდინოს, თუკი ყალბ ფულს მიიღებს.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის თუ როგორ უნდა ამოიღოს ყალბი ფული და როგორ მოიქცეს ყალბი ფულის აღმოჩენის შემთხვევაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ასხვავებს ერთმანეთისგან ნამდვილ და ყალბ ფულს.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• იაზრებს, რომ ამა თუ იმ ნომინალის ბანკნოტი შეიძლება მოძველდეს და ამოვიდეს მიმოქცევიდან, და იცის თუ როგორ გადაცვალოს მოძველებული ბანკნოტი ახალ ბანკნოტში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ცვლის მოძველებულ ბანკნოტს ახალი ბანკნოტით.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის გაცვლითი კურსის და იმის შესახებ, თუ როგორ გადაცვალოს ერთი ქვეყნის ვალუტა სხვა ქვეყნის ვალუტაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ითვლის უცხოური ვალუტის ღირებულებას ადგილობრივ ვალუტაში.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს, თუ რა გავლენა აქვს გაცვლითი კურსის ცვლილებას მის ცხოვრებაზე, ასევე, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკაზე (მათ შორის, საერთაშორისო ფულად გზავნილებზე, საზღვარგარეთ მოგზაურობის ხარჯებზე, უცხოეთში წარმოებული საქონლის და მომსახურების ფასზე).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ითვალისწინებს უცხოური ვალუტის რისკებს ფინანსური გადაწყვეტილების მიღებისას, როგორცაა, ფულის სესხება, ან ფულის დაგროვება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• თავის თავში ავითარებს ჯანსაღ, რაციონალურ დამოკიდებულებას უცხოური ვალუტის რისკების მიმართ</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის, რომ ფულის მსყიდველობითუნარიანობა შეიძლება შეიცვალოს დროის მიხედვით.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეძებს გზებს, რათა შეძლებისდაგვარად შეამციროს ფულის გაუფასურების გავლენა საკუთარ ფინანსებზე.</li> </ul>	

ფული და ვალუტა



## 1.2 გადახდები და ფასები

	ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
	<b>საბაზისო პრინციპები</b>		
<b>გადახდები და ფასები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>იცის</b> თუ როგორ გადარიცხოს თანხა ერთი ანგარიშიდან მეორეზე და იაზრებს საკუთარ შესაძლებლობას ერთმანეთს შეადაროს და გამოიყენოს თანხის გადარიცხვის სხვადასხვა მეთოდი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>ახორციელებს</b> გადარიცხვებს (კომუნალური გადასახადები, გადარიცხვები სხვა ადამიანის ანგარიშზე, ა.შ.).</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>აქვს თავდაჯერებულობა/რწმენა</b>, რომ საჭიროების შემთხვევაში მოახდენს ხელშეკრულების, ქვითრებისა და სხვა დოკუმენტების გადამოწმებას, პრეტენზიის დაფიქსირებას, და საკუთარი სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li><b>იცის</b> თუ როგორ შეაფასოს თანხის გადარიცხვის დროს წარმოქმნილი რისკები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>მხედველობაში იღებს</b> ყველა იმ დანახარჯს, რაც თანხის გადარიცხვის კონკრეტული მეთოდისთვისაა დამახასიათებელი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>თავდაჯერებულად გრძნობს თავს</b> ფასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებში.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li><b>აგნობიერებს</b>, რომ ისევე, როგორც ნებისმიერი ფინანსური ოპერაციის განხორციელებისას, თანხის გადარიცხვის დროსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს გარკვეულ ხარვეზებს, და იცის, თუ როგორ მოიქცეს ასეთ შემთხვევაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>ამოწმებს</b> გადარიცხვის დეტალებს, ქვითარს და უკან დასაბრუნებელ თანხას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>აქვს თავდაჯერებულობა</b>, რომ თქვას უარი გამყიდველის მიერ შემოთავაზებულ ისეთ პროდუქტზე, რომელიც არ შეესაბამება მის სურვილსა და საჭიროებას.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li><b>ხვდება</b>, რომ ერთი და იგივე პროდუქტის ფასი სხვადასხვა მომწოდებელთან შეიძლება განსხვავებული იყოს.</li> <li><b>აგნობიერებს</b>, რომ შეიძლება არსებობდეს მსგავსი/ჩამნაცვლებელი პროდუქტები, რომლებიც სასურველ პროდუქტზე ნაკლები ღირს, მაგრამ ზუსტად იგივე მოთხოვნებს აკმაყოფილებს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>ადარებს</b> ერთი და იმავე ფინანსური (ან მსგავსი) პროდუქტის ფასს სხვადასხვა მომწოდებელთან.</li> <li><b>ემებს</b> ფინანსურ პროდუქტებს გონივრულ და სამართლიან ფასად.</li> </ul>	
	<ul style="list-style-type: none"> <li><b>აგნობიერებს</b>, რომ პროდუქტის ფასი შეიძლება დამოკიდებული იყოს გადასახადებზე, გაცვლით კურსზე და სხვა გარე ფაქტორებზე.</li> <li><b>ხვდება</b>, რომ პროდუქტის შესყიდვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მისი სრული ხარჯი, მათ შორის, პროდუქტის შემდგომი გამოყენების დანახარჯებიც.</li> <li><b>იცის</b>, თუ რა არის ინფლაცია და დეფლაცია, და რა გავლენა შესაძლოა ჰქონდეს მას კონკრეტული პროდუქტის ფასზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>სვამს</b> შეკითხვებს პროდუქტთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გამოსავლენად.</li> <li><b>ითვლის</b> პროდუქტის სრულ ღირებულებას.</li> <li><b>ეცნობა</b>, თუ რა პრინციპით დგინდება ამა თუ იმ პროდუქტის ფასი.</li> </ul>	



	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აგნობიერებს</b>, რომ რეკლამებმა, თანატოლებისა და გარემოს გავლენამ შეიძლება დიდი ზეგავლენა იქონიოს ინდივიდის ფინანსურ გადაწყვეტილებებზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>შემუშავებული აქვს სტრატეგია</b> თუ როგორ შეამციროს რეკლამებისა და გარე ფაქტორების უარყოფითი გავლენა პროდუქტის ყიდვის გადაწყვეტილებაზე.</li> </ul>	
--	--	---	--

### 1.3 ფინანსური დოკუმენტები და ხელშეკრულებები

	ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
<b>ფინანსური დოკუმენტები და ხელშეკრულებები</b>	<b>საბაზისო პრინციპები</b>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იცის</b> თუ როგორ წაკითხოს და განიხილოს ფინანსური ხელშეკრულება, ასევე, ამონაწერი, ქვითარი და სხვა ფინანსური დოკუმენტები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>სვამს შეკითხვებს</b>, რათა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ხელშეკრულების პირობების შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე.</li> <li>• <b>მოითხოვს</b> გადაეცეს ხელშეკრულება და ამონაწერი იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც აღნიშნულს ფინანსური მომსახურების პროვაიდერი პროაქტიულად არ სთავაზობს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>მიიჩნევს</b>, რომ მომხმარებლის პასუხისმგებლობაა ხელშეკრულების ხელმოწერამდე გაეცნოს ყველა პირობას და დასვას შეკითხვები</li> <li>• <b>გამოხატავს სურვილს</b>, მიიღოს დამატებითი ინფორმაცია და რჩევები გადაწყვეტილების მიღებამდე.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აგნობიერებს</b> ხელშეკრულების ყურადღებით წაკითხვის მნიშვნელობას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ყურადღებით კითხულობს</b> ხელშეკრულებას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აქვს საკმარისი თავდაჯერებულობა</b>, რომ ფინანსური ორგანიზაციისგან მოითხოვოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულება.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აგნობიერებს</b> ხელშეკრულებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური დოკუმენტების შენახვის აუცილებლობას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ინახავს</b> ყველა მნიშვნელოვან ფინანსურ დოკუმენტს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>მიიჩნევს</b>, რომ ხელშეკრულების ყველა მხარე თანაბრად პასუხისმგებელია შესასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იცის</b>, ვის მიმართოს ფინანსური ორგანიზაციის მიერ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.</li> <li>• <b>იცის</b>, რომ აქვს პრეტენზიის დაფიქსირებისა და მასზე პასუხის მიღების უფლება.</li> <li>• <b>იცნობს</b> ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობას, და საჭიროებისამებრ, შეუძლია მოიძიოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აფიქსირებს</b> პრეტენზიას, როდესაც უკმაყოფილოა მომსახურების ხარისხით, ან მიიჩნევს, რომ მისი უფლებები დაირღვა.</li> <li>• <b>ადევნებს თვალყურს</b> ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჩარჩოს მნიშვნელოვან ცვლილებებს. იცის, თუ ვის შეუძლია მიმართოს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>•</li> </ul>



## 2. ფინანსების მართვა და დაზოგვა

### 2.1 ბიუჯეტირება

ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
<b>საბაზისო პრინციპები</b>		
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის თუ რატომ არის მნიშვნელოვანი პერსონალური / ოჯახის ფინანსების რეგულარულად დაგეგმვა და მართვა</li> </ul>		
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის რა არის, და როგორ შეადგინოს ბიუჯეტი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აწარმოებს პერსონალურ / ოჯახის ბიუჯეტს და იყენებს მას, როგორც შემოსავლების, ხარჯების და დანაზოგების მართვის მექანიზმს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს მოტივაცია, გამონახოს დროს და შეადგინოს პერსონალური/ოჯახის ბიუჯეტი, როგორც ფინანსური კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის როგორ მოახდინოს შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგი.</li> <li>• იცის როგორ მოახდინოს არამიზნობრივი, გაუთვალისწინებელი ხარჯების მართვა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ასხვავებს რეგულარულ და ცვალებად დანახარჯებსა და შემოსავლებს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ასხვავებს საკუთარ სურვილებსა და საჭიროებებს და ადგენს მათ პრიორიტეტულობას.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის თუ როგორ მოახდინოს ბიუჯეტის საჭიროებისამებრ ცვლილება</li> <li>• აცნობიერებს, რომ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე არსებულმა შემთხვევებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს შემოსავლებსა და ხარჯებზე.</li> <li>• აცნობიერებს, რომ ოჯახმა, სოციალურმა, კულტურულმა ფასეულობებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ფულის მართვის საკითზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადარებს არსებულ და დაგეგმილ ხარჯებს, რათა მოახდინოს ბიუჯეტის კორექტირება.</li> <li>• ითვალისწინებს წარსულ გამოცდილებას.</li> <li>• ცვლის /ანახლებს ბიუჯეტს არსებული გარემოებების გათვალისწინებით, რათა ზიანი არ მიადგეს მის ფინანსურ კეთილდღეობას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მზადყოფნას გამოთქვამს საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ბიუჯეტის ცვლილებები</li> <li>• აქვს მოტივაცია, რომ შეისწავლოს საკუთარი ფინანსური ჩვევები, შეაფასოს არსებული გამოწვევები.</li> <li>• ბიუჯეტის შედგენისას კრიტიკულად აფასებს სხვადასხვა გარე ფაქტორს, რომელიც პირადად თუ ირიბად გავლენას ახდენს მის ფინანსურ გეგმებზე.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ბიუჯეტის შედგენისას აცნობიერებს საშუალო და გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინების მნიშვნელობას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ასხვავებს მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან მიზნებს და ცდილობს პერსონალი ბიუჯეტი მათ მორგოს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• იღებს პასუხისმგებლობას, რომ ეფექტიანად მართოს საკუთარი ფინანსები.</li> </ul>

ბიუჯეტირება





## 2.2 დანაზოგები და ინვესტიციები

ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
<b>საბაზისო პრინციპები</b>		
<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს სარგებელს, რაც დანაზოგების გაკეთებამ შეიძლება მოიტანოს.</li> </ul>	<p>ისახავს კონკრეტულ მიზანს, რომლისთვისაც ინახავს ფულს, ვადებს, და გზებს, რომლითაც უნდა მოხდეს მიზნის მიღწევა</p>	<p><b>მიიჩნევს</b>, რომ დაზოგვა წარმოადგენს ფინანსური კეთილდღეობის ქვაკუთხედს, და რომ დაზოგვა ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად შემოსავლის მოცულობისა, აუცილებელი და შესაძლებელია.</p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს რეგულარულად დაზოგვის აუცილებლობას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>დგამს ნაბიჯებს</b>, რომ შექმნას დანაზოგები სხვადასხვა მიზნისთვის, როგორცაა, გაუთვალისწინებელი მოვლენები, საპენსიო ასაკი და სხვ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>თავდაჯერებულია</b> საკუთარ ფინანსურ მომავალში, რამდენადაც წინასწარ ადგენს შესაბამის გეგმებს და აკეთებს დანაზოგებს.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის დაზოგვის რომელი ფორმალური და არაფორმალური გზები არსებობს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ეცნობა</b> სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციების შემოთავაზებებს, რათა მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აქვს საკმარისი თავდაჯერებულობა და ცოდნა</b> ისაუბროს ყველა იმ რისკზე რაც დანაზოგების გაკეთების სხვადასხვა ფორმას უკავშირდება.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის თუ როგორ შეაფასოს დაზოგვის სხვადასხვა ფორმასთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>სვამს შეკითხვებს</b> და მხედველობაში იღებს ყველა იმ რისკსა და დანახარჯებს, რაც ამა თუ იმ ფორმით დაზოგვას უკავშირდება. <b>ადარებს</b> შემოთავაზებულ რისკებსა და სარგებელს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>მიიჩნევს</b>, რომ არაგონივრულად მაღალ სარგებელთან, როგორც წესი, მაღალი რისკებია დაკავშირებული.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის რა უპირატესობები აქვს დაზოგვისთვის ფორმალური ფინანსური პროდუქტების გამოყენებას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ადარებს</b> დაზოგვის ფორმალურ და არაფორმალურ მეთოდებს და აანალიზებს თითოეულთან დაკავშირებულ რისკებს და სარგებელს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აქვს მოტივაცია</b>, მოიძიოს დაზოგვის ისეთი ფორმა, რომელიც მას მაღალ სარგებელს მოუტანს, თუმცა ამავდროულად, არ წარმოშობს მაღალ რისკებს.</li> <li>• <b>მიიჩნევს</b>, რომ ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია განსაკუთრებული სიფრთხილითა და გონიერებით მიუდგეს ფულის დაზოგვის საკითხს.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის თუ როგორ გამოიანგარიშოს დანაზოგიდან მიღებული სარგებელი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ანგარიშობს</b> დანაზოგიდან მისაღებ სარგებელს და განიხილავს სხვადასხვა პირობას, რომლის შემთხვევაშიც შეძლებდა სარგებლის გაზრდას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>•</li> </ul>

დანაზოგები და ინვესტიციები



		<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>თვალყურს ადევნებს</b> დარიცხული სარგებლის მოცულობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები დაზოგვის გეგმაში;</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აგნობიერებს</b>, რომ საპენსიო ასაკისთვის დანაზოგების გაკეთება აუცილებელია</li> <li>• <b>იგის</b> რა განსხვავებაა სახელმწიფო და კერძო საპენსიო სქემებს შორის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ეცნობა, განიხილავს და აკეთებს არჩევანს</b> სხვადასხვა საპენსიო სქემას შორის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>თავს თავდაჯერებულად გრძნობს</b> საპენსიო ასაკისთვის მზაობის კუთხით.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იგის</b>, თუ რა განსხვავება დაზოგვასა და ინვესტირებას შორის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>მოიძიებს და შეისწავლის</b> სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობას, და ადარებს ინვესტიციასა და დაზოგვასთან დაკავშირებულ რისკებს და შესაძლებლობებს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>•</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აგნობიერებს</b>, რომ სხვადასხვა ინვესტიციებს სხვადასხვა რისკის დონე და სარგებელი აქვს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ითვლის</b> ინვესტიციიდან მიღებულ შესაძლო სარგებელს და მოსალოდნელ რისკს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>პასუხისმგებლობით ეკიდება</b> ფულის დაზოგვის/შენახვის მეთოდის შერჩევის საკითხს.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იგის</b>, თუ რაზეა დამოკიდებული დანაზოგიდან მიღებული სარგებლის მოცულობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ყურადღებას აქცევს</b> როგორც ნომინალურ, ისე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს.</li> </ul>		
<b>დამატებითი პრინციპები</b>			
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აგნობიერებს</b>, რომ რისკების შემცირებისათვის მნიშვნელოვანია ინვესტიციების დივერსიფიკაცია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>•</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>თავდაჯერებულია</b>, რადგან წინასწარ გათვლილი აქვს ინვესტიციის ყველა შესაძლო რისკი.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იგის</b> თუ რა გავლენას ახდენს ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და გაცვლითი კურსი საინვესტიციო გადაწყვეტილებაზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ითვლის</b> გარე ფაქტორების გავლენას ინვესტიციის მომგებიანობაზე.</li> </ul>		
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აგნობიერებს</b>, რომ პიროვნული მახასიათებლები, როგორცაა ემოციები, მნიშვნელოვან ნეგატიურ როლს თამაშობს საინვესტიციო გადაწყვეტილებებში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>დგამს ნაბიჯებს</b>, რომ მიიღოს ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები და აკონტროლოს ემოციები.</li> </ul>		



### 2.3 სესხება და სესხის მართვა

ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
<b>საბაზისო პრინციპები</b>		
<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს, რომ სესხი ვალდებულებაა, და გონივრულად უნდა მართოს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სესხის აღებამდე, ყოველთვის უფიქრდება სესხების საჭიროებას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს თავდაჯერებულობის გრძნობა სესხებასთან მიმართებაში, რადგან ფლობს საკმარის ინფორმაციას სხვადასხვა ტიპის კრედიტისა და სესხის გამცემი ორგანიზაციების, ასევე, თითოეულთან დაკავშირებული რისკების შესახებ.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის, რომ სესხის აღებამდე მნიშვნელოვანია შეაფასოს საკუთარი გადახდისუნარიანობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ითვის ყოველთვის შენატანის მოცულობას და ვადას, რომლის განმავლობაშიც უნდა დაიფაროს სესხი. ყოველივე ამას ადარებს საკუთარ ხელზე ასაღებ შემოსავალს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სესხებას სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ეკიდება, რადგან იაზრებს, რომ ვალდებულების არდაფარვას მნიშვნელოვანი სამართლებრივი და სხვა რისკები შესაძლოა მოჰყვეს.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის რა და რა სახის კრედიტი არსებობს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია განასხვავოს სხვადასხვა ტიპის სესხების მახასიათებლები, და აირჩიოს თავისთვის შესაფერისი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სესხებას სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ეკიდება, რადგან იაზრებს, რომ ვალდებულების არდაფარვას მნიშვნელოვანი სამართლებრივი და სხვა რისკები შესაძლოა მოჰყვეს.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის ფორმალური და არაფორმალური სესხების გზების შესახებ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია შეადაროს ფორმალური და არაფორმალური გზით სესხების დადებითი / უარყოფითი მხარეები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სესხებას სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ეკიდება, რადგან იაზრებს, რომ ვალდებულების არდაფარვას მნიშვნელოვანი სამართლებრივი და სხვა რისკები შესაძლოა მოჰყვეს.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს რისკებს, რაც უცხოურ ვალუტაში სესხის აღებას უკავშირდება.</li> <li>• იაზრებს, თუ რატომ არის გონივრული სესხება იმ ვალუტაში, რომელშიც შემოსავალი აქვს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ითვის იმ დამატებით ხარჯს, რაც გაცვლითი კურსის ცვლილებით შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ პირი უცხოური ვალუტის სესხით სარგებლობს.</li> <li>• თვალყურს ადევნებს გაცვლითი კურსის დინამიკას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სესხებას სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ეკიდება, რადგან იაზრებს, რომ ვალდებულების არდაფარვას მნიშვნელოვანი სამართლებრივი და სხვა რისკები შესაძლოა მოჰყვეს.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს, რომ მარკეტინგული საშუალებები და სესხის აღების გამარტივებული დისტანციური მეთოდები ზრდის გაუმართლებელი სესხის აღების შესაძლებლობას.</li> </ul>		
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის რა არის საკრედიტო ისტორია</li> <li>• იცის რა ფაქტორები ახდენს გავლენას საკრედიტო ისტორიაზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მონიტორინგს უწევს სესხის გადახდის გრაფიკს რათა თავი აარიდოს გადაცილებებს</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის, თუ რა არის უზრუნველყოფა, და უზრუნველყოფის სახეები.</li> <li>• იაზრებს, რომ ზოგიერთი ტიპის სესხის შემთხვევაში შეიძლება სესხის გამცემმა მოითხოვოს უზრუნველყოფა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სვამს შეკითხვებს, თუ რა შემთხვევაში მოითხოვება უზრუნველყოფა, და რა რისკები არსებობს ვალდებულების არდაფარვის შემთხვევაში.</li> </ul>	

სესხება და სესხის მართვა



	<ul style="list-style-type: none"> <li>ესმის თავდებობის მნიშვნელობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სანამ სხვა პირის სესხზე თავდებობას დათანხმდებოდეს, ანალიზებს საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს, ყურადღებით ეცნობა სესხის პირობებსა და ხელშეკრულებას.</li> </ul>	
--	---	--	--

### 3. რისკი და სარგებელი

#### 3.1 ფინანსური რისკები

	ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
ფინანსური რისკები	<b>საბაზისო პრინციპები</b>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>იცის, თუ რას ნიშნავს ფინანსური რისკი.</li> <li>იცის, თუ როგორ მოახდინოს ფინანსური რისკების პრევენცია და/ან როგორ მოიქცეს რისკების მატერიალიზაციის შემთხვევაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>მხედველობაში იღებს თუ რა გავლენას ახდენს ფინანსური რისკისგან დაუცველობა ფინანსურ კეთილდღეობაზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>თავდაჯერებულია გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან იცის, თუ როგორ შეაფასოს რისკები და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>აცნობიერებს რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს გარეგან ფაქტორებს (მაგ. რეგიონში დაბალი მოსავლიანობა) მის პირად ფინანსურ რისკებზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ითვლის რისკებს, რომლებიც ფინანსურ თუ ცხოვრებისეულ გადაწყვეტილებებს უკავშირდება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>აქვს მოტივაცია, რომ გაეცნოს ინფორმაციას, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ამა თუ იმ გადაწყვეტილების რისკის დონეზე.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>აცნობიერებს, რომ ბევრი წინასწარ დაგეგმილი, ერთი შეხედვით არაფინანსური ცხოვრებისეული ნაბიჯი, როგორცაა, მაგალითად, სამსახურის შეცვლა, გარკვეულ ფინანსურ რისკებთან არის დაკავშირებული.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია შეამციროს რისკები გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაძლო რისკების მხედველობაში მიღებით.</li> </ul>	
	<ul style="list-style-type: none"> <li>აცნობიერებს, რომ ინფორმაციის ნაკლებობამ შეიძლება გაზარდოს რისკის დონე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>იყენებს როგორც საკუთარ, ისე საზოგადო ცოდნასა და გამოცდილებას, რათა შეაფასოს ფინანსური რისკები.</li> </ul>	
	<ul style="list-style-type: none"> <li>იცის, რომ იქ სადაც შეიძლება მაღალი სარგებლის მიღება, ასევე მაღალია ფულადი სახსრების დაკარგვის რისკიც.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>შეუძლია ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა ფინანსური პროდუქტის რისკი და სარგებელი</li> </ul>	



### 3.2 დაზღვევის საკითხები

ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
<b>საბაზისო პრინციპები</b>		
<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს რომ რისკების თავიდან აცილების ერთ-ერთი საუკეთესო გზა რისკებისგან თავის დაზღვევაა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია ერთმანეთს შეადაროს ერთი და იგივე ტიპის, სხვადასხვა კომპანიის მიერ შემოთავაზებული დაზღვევა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს საკმარისი თავდაჯერებულობა და მოტივაცია, რომ მოიძიოს რაც შეიძლება მეტი შესაბამისი ინფორმაცია და მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება.</li> <li>• მიიჩნევს, რომ დაზოგვაში გადახდილი თანხა არა ფუჭად გადაყრილი ფული, არამედ უსაფრთხო მომავლისთვის გადახდილი საფასურია.</li> <li>• მიიჩნევს, რომ რამდენადაც ცხოვრებაში ბევრი გაუთვლელი რამ ხდება, ინდივიდის პასუხისმგებლობაა იზრუნოს შესაძლო უსიამოვნო შედეგების შემცირებაზე.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის რა და რა ტიპის დაზღვევა არსებობს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე, შეუძლია თავისთვის შეარჩიოს სადაზღვევო პოლისი და მიმართოს შესაბამის პროვაიდერს</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს, რომ სადაზღვევო პოლისის შექმნა დაკავშირებულია გარკვეულ ხარჯებთან და მოითხოვს რეგულარულ შენატანს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ითვლის სადაზღვევო პოლისის თავისთვის მისაღებ, ოპტიმალურ პრემიუმს - ისეთს რაც მნიშვნელოვანად არ შეამცირებს მის ყოველთვიურ შემოსავლებს.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• აცნობიერებს, რომ პოლისმა შეიძლება მთლიანად არ მოახდინოს ზარალის ანაზღაურება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სვამს შეკითხვებს რათა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სადაზღვევო ხელშეკრულების დეტალების შესახებ.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს სადაზღვევო პროდუქტთან არსებული პრეტენზიების შემთხვევაში.</li> <li>• იცის, თუ ვინ ახორციელებს სადაზღვევო სექტორის ზედამხედველობას, და როგორ მუშაობს სისტემა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• უკმაყოფილების შემთხვევაში, თამამად აფიქსირებს საკუთარ პრეტენზიას.</li> <li>• ეცნობა სადაზღვევო სექტორის ზედამხედველი ინსტიტუტის საქმიანობის სპეციფიკას.</li> </ul>	

დაზღვევის საკითხები



## 4. ფინანსური გარემო

### 4.1 მომხმარებლების უფლებები და მათი დაცვა

ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
<b>საბაზისო პრინციპები</b>		
<ul style="list-style-type: none"> <li><b>იცის</b>, რომ მას, როგორც ფინანსური სექტორის მომხმარებელს, აქვს უფლებები და პასუხისმგებლობები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ხელის მოწერამდე, <b>კითხულობს</b> ხელშეკრულებას, რათა გაერკვეს საკუთარ უფლებებსა და პასუხისმგებლობებში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>მოტივირებულია</b>, მოიძიოს ინფორმაცია ყველა შესაძლო წყაროდან რათა მიიღოს ეფექტიანი ფინანსური გადაწყვეტილება</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li><b>აგნობიერებს</b>, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა მეტწილად უკავშირდება დროული და სრულყოფილი ინფორმაციის ქონას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>ინფორმაციას <b>მოიძიებს</b> პროაქტიულად და <b>სვამს</b> ბევრ შეკითხვას ფინანსური პროდუქტების მომწოდებელთან.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>თავდაჯერებულია</b>, ოჯახს სხვა წევრებს გაუზიაროს თავისი ცოდნა ფინანსური განათლების საკითხებში.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li><b>იცის</b> თუ როგორ უნდა დააფიქსიროს პრეტენზია უფლებების დარღვევის დროს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>აფიქსირებს</b> პრეტენზია მომსახურე ფინანსურ ორგანიზაციაში და/ან ეროვნულ ბანკში.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li><b>იცნობს</b> ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონმდებლობას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>მუშაობს</b> მომხმარებელთა დაცვის კანონმდებლობასთან და საჭიროებისამებრ, შეუძლია დროულად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია.</li> <li><b>იყენებს</b> თავის ცოდნას მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებში.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li><b>აგნობიერებს</b>, რომ ყოველთვის შესაძლებელია ფინანსური ცოდნის დონის ამაღლება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>ეცნობა</b> ინფორმაციას სასარგებლო ფინანსური ჩვევების შესახებ და <b>ცდილობს</b> ცოდნა ქცევად აქციოს.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li><b>იცის</b> სად შეიძლება მიიღოს ობიექტური ინფორმაცია ფინანსური განათლების საკითხებზე</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>იყენებს</b> ფინანსური განათლების მიღების ყველა შესაძლო არხს.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li><b>აგნობიერებს</b> თუ რა მნიშვნელობა აქვს ფინანსური საკითხების განხილვას საზოგადოების ფართო და კომპეტენტურ წრეებში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li><b>საუბრობს</b> ფინანსური განათლების საკითხებზე მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან.</li> </ul>	

მომხმარებლების უფლებები და მათი დაცვა



	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აგნობიერებს</b> ეროვნული ბანკის როლს, როგორც ფინანსური განათლების ხელშემწყობი და მომხმარებლების უფლებების დაცვის მთავარი გარანტორი.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>სვამს</b> შეკითხვებს ეროვნული ბანკისა როლის შესახებ.</li> </ul>	
--	--	---	--

#### 4.2 ინფორმაციის მიღებისა და შედარების არხები

	ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
<b>ინფორმაციის მიღებისა და შედარების არხები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იცის</b>, რა და რა სახის ფინანსური პროდუქტები და მომსახურებები არსებობს.</li> <li>• <b>იცის</b>, სად მოიძიოს და შეადაროს ინფორმაცია ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ.</li> <li>• <b>იცის</b>, სად მოიძიოს სხვა, რელევანტური ფინანსური ინფორმაცია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>კითხულობს</b> ინფორმაციას სხვადასხვა ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების, ასევე, სხვა რელევანტური ფინანსური ინფორმაცია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>თავდაჯერებულად გრძნობს თავს</b>, რომ თავის ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ურჩიოს, თუ სად მოიძიონ რელევანტური ინფორმაცია.</li> <li>• <b>მიიჩნევს</b>, რომ თავად არის პასუხისმგებელი, მიიღოს სწორი ფინანსური გადაწყვეტილება, მათ შორის, სწორად აარჩიოს ფინანსური პროდუქტი, და მისი მომწოდებელი.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იცის</b> რა მახასიათებლებით უნდა შეარჩიოს მისთვის საჭირო ფინანსური პროდუქტი და მომსახურება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ადარებს</b> სხვადასხვა ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების მახასიათებლებს და აკეთებს არჩევანს მათ შორის.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>თავდაჯერებულად გრძნობს თავს</b> ფინანსური პროდუქტის შერჩევისას, რადგან იცის, თუ სად მოიძიოს მის შესახებ ინფორმაცია, და გააკეთოს შედარებები.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აგნობიერებს</b>, რომ ფინანსური პროდუქტები შეიძლება შემოთავაზებული იყოს როგორც რეგულირებული ისე არარეგულირებული, და როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მომწოდებლების მხრიდანაც.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ადარებს</b> ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების ყველა შესაძლო წყაროს და ცდილობს მიიღოს მომწოდებლების შესახებ სრული ინფორმაცია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აქვს მოტივაცია</b>, მიმართოს ფინანსურ ორგანიზაციას ყველა შესაძლო გზით და ჰკონტაქტოს მუდმივი კომუნიკაცია, რათა მიიღოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აგნობიერებს</b>, რომ არაფორმალური გზით შემოთავაზებული ფინანსური პროდუქტები შეიძლება რისკებთან იყოს დაკავშირებული.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აფასებს</b> იმ რისკებს რაც შეიძლება არაფორმალური წყაროების მიერ შემოთავაზებული ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების დროს შეიძლება დადგეს.</li> </ul>	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იცის</b>, თუ რომელ წყაროებს უნდა ენდოს ინფორმაციის შეგროვებისას, და როგორ გადაამოწმოს ამა თუ იმ წყაროდან მიღებული ინფორმაცია.</li> </ul>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აგნობიერებს</b>, რომ ფინანსური პროდუქტისა და მომსახურების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>ეცნობა</b> ხელშეკრულების პირობებს, და ადგენს, თუ რა შემთხვევაში აქვს ფინანსურ</li> </ul>	



	<p>პირობები შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს.</p>	<p>ორგანიზაციას პირობების ცალმხრივი ცვლილების უფლება, ასევე, როგორც მოახდენს ორგანიზაცია მომხმარებლის ინფორმირებას ცვლილებების შესახებ.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• <b>თვალყურს ადევნებს</b> მომსახურე ფინანსური ორგანიზაციისგან შემოთავაზებულ განახლებულ პირობებს.</li> </ul>	
--	--	---	--

### 4.3 თაღლითობისა და ფინანსური დანაშაულის პრევენცია

	ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
<p style="writing-mode: vertical-rl; transform: rotate(180deg);">თაღლითობისა და ფინანსური დანაშაულის პრევენცია</p>	<b>საბაზისო პრინციპები</b>		
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აცნობიერებს</b> ფინანსური დანაშაულისა და ფინანსური თაღლითობის რისკს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>დგამს ნაბიჯებს</b>, რათა დაიცვას თავი ფინანსური თაღლითობისგან.</li> <li>• <b>ზოგადად ეცნობა</b>, თუ როგორ ახდენენ თაღლითობის პრევენცია მომსახურე ფინანსურ ორგანიზაციაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აქვს</b> თავდაჯერებულობა და მოტივაცია, რომ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიაწოდოს ინფორმაცია ფინანსურ თაღლითობის შესახებ</li> <li>• <b>მიიჩნევს, რომ</b> თაღლითობა დანაშაულია, ხოლო მისი, როგორც მომხმარებლის ვალდებულებაა დროულად მოახდინოს რეაგირება და მიმართოს როგორც მომსახურე ფინანსურ ორგანიზაციას, ისე, საჭიროებისამებრ, შესაბამის უწყებებს.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იცის</b>, როგორ უნდა მოახდინოს ფინანსური თაღლითობის პრევენცია და როგორ მოიქცეს ფინანსური თაღლითობის შემთხვევაში</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შეუძლია უსაფრთხოების წესების დაცვით დისტანციურად <b>შეიძინოს</b> პროდუქტი და მომსახურება</li> </ul>	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იცის</b>, თუ რა სიფრთხილის წესები უნდა დაიცვას ბანკომატის, დისტანციური ფინანსური პროდუქტების გამოყენებისას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>უფრთხილდება</b> საკუთარ პერსონალურ მონაცემებს</li> <li>• პერიოდულად <b>ამოწმებს</b> საკუთარ მონაცემებს საკრედიტო ბიუროს ბაზაში.</li> </ul>	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აცნობიერებს</b> პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობას და მასთან დაკავშირებულ რისკებს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>მიმართავს</b> შესაბამის უწყებებს ფინანსური თაღლითობის აღმოჩენის შემთხვევაში</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იცის</b>, როგორ მოიქცეს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ თაღლითობის მსხვერპლი გახდა.</li> </ul>			





#### 4.4 გადასახადები და სახელმწიფო

ცოდნა და ცნობიერება	უნარები და ქცევა	მოტივაცია და დამოკიდებულება
<b>საბაზისო პრინციპები</b>		
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აცნობიერებს</b> რატომ არსებობს გადასახადები, და რატომ არის აუცილებელი მათი გადახდა</li> <li>• <b>იცის</b>, თუ რა არის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელი მიმართულებები წარმოადგენს სახელმწიფო პრიორიტეტებს, და როგორ ხარჯავს სახელმწიფო ამა თუ იმ მიმართულებით თანხას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დროულად <b>იხდის</b> გადასახადებს</li> <li>• <b>ეცნობა</b> სახელმწიფო ბიუჯეტს და <b>აკვირდება</b> სახელმწიფოს მხრიდან გადასახადების გზით მიღებული თანხის განკარგვას.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>მიიჩნევს</b>, რომ გადასახადის გადახდა მისი, როგორც მოქალაქის, პასუხისმგებლობაა.</li> <li>• <b>მიიჩნევს</b>, რომ მისი, როგორც მოქალაქის უფლება და პასუხისმგებლობაა დაინტერესდეს, თუ როგორ განკარგავს სახელმწიფო გადასახადების გადამხდელების თანხას.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იცნობს</b> სახელმწიფოში მოქმედ ყველა ძირითად გადასახადს, მათ განაკვეთებს, გრაფიკს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>შეუძლია</b> მარტივად მოიძიოს ინფორმაცია სხვადასხვა გადასახადის შესახებ.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აცნობიერებს</b>, რომ დროთა განმავლობაში, გადასახადების განაკვეთები შეიძლება შეიცვალოს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>იღებს</b> ინფორმაციას სახელმწიფოს მიერ საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აცნობიერებს</b>, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს გადასახადების განაკვეთების ცვლილებას მის მიერ შეძენილი პროდუქტის ფასზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>შეუძლია მოახდინოს</b> პროდუქტის ფასის დეკომპოზიცია საწყისი ღირებულებისა და დამატებული გადასახადების მიხედვით.</li> </ul>	
<ul style="list-style-type: none"> <li>• <b>აცნობიერებს</b>, რომ გადასახადის დამალვა დანაშაულია.</li> </ul>		

გადასახადები და სახელმწიფო